# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 317

„20" ოქტომბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა №26-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა №26-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 ოქტომბრის №20.1205.1497 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა №26-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.027) მდებარე უძრავი ქონების, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისი, შუამთის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N 01.19.20.023.027)

| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, დაკავებული ბინი ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დავით ამირაშვილი | 01027000026 | სართული 8, ბინა N43 | 89.76 კვ.მ | 01.19.20.023.027.01.043 |
| 2 | გიორგი ტოროშელიძე | 33001010596 | სართული 8, ბინა N22ა | 65.33 კვ.მ | 01.19.20.023.027.01.022ა |
| 3 | ჯემალი ქარჩხაძე | 60002011307 | სართული 7, ბინა N38 | 68.85 კვ.მ | 01.19.20.023.027.01.038 |
| 4 | მაია ოთარაშვილი | 01029004568 | სართული 2, ბინა N22 | 92.70 კვ.მ | 01.19.20.023.027.01.525 |
| 5 | კახაბერი ზედია | 01911098389 | სართული 7, ბინა N19 | 68.77 კვ.მ | 01.19.20.023.027.01.019 |